ჯანსაღი დაბერების მომსახურებების როლი

ხანდაზმულთა კეთილდღეობაში

ეთერ ფალელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეთერ ფალელაშვილი

29.06.2022 წ.

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ხანდაზმულ პირთა მდგომარეობას, მათთვის არსებული ჯანსაღი დაბერების მომსახურებების შესწავლას და ამ მომსახურებებში მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობის როლის განსაზღვრას.

კვლევის საკითხიდან გამომდინარე კი, შესწავლილ იქნა რელევანტური წერილობითი წყაროები, სამეცნიერო ნაშრომები ჯანსაღ დაბერებაზე, ხანდაზმულებთან დაკავშირებულ საკითებზე, ასევე მიმოხილულ იქნა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო. საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის კი რაოდენობრივ კვლევის მეთოდებთან ერთად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, სადაც კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციის ხანდაზმულთა დღის ცენტრისა და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსსებული 24 საათიანი მომსახურების მიმწოდებლები და ამ მომსახურების მიმღები ხანდაზმული პირები.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული ხანდაზმულთა სახლის მომსახურების ხარვეზები, ხანდაზმულთა საჭიროებები და ის გამოწვევები რის წინაშეც დგას სახელმწიფო მათთვის მომსახურებების მიწოდების პროცესში. კვლევის შედეგებმა ხაზი გაუსვა ჯანსაღი დაბერების მომსახურებების მნიშვნელობას ხანდაზმულ პირთა ფსიქო-სოციალური მდომარეობის გაუმჯობესების პროცესში.

მოკვლეული პასუხების მიხედვით კი ხანდზმულ პირები დგანან რეალიზების, სოციალური იზოლაციის, მომავლისადმი უიმედო დამოკიდებულების, ახლობლებთან ურთიერთობის დეფიციტის, სხვაზე დამოკიდებულების, ჯანმრთელობისა და ფინანსური პრობლემების წინაშე, რაც კიდევ უფრო განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ 24 საათიან ხანდაზმულთა სახლის მომსახურებათა მიმღებში, სადაც არ ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა, და

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით განსაზღვრული სტანდარტების გათვალსიწინება.

წარმოდგენილი კვლევა საინტერესოა როგორც ხანდაზმულთათვის, მომსახურების მიმწოდებლებისთვის, ასევე სახელმწიფო უწყეებისთვის, რათა უკეთ მოხდეს მასში არსებული პრობლემებისა და ხარვეზების გაცნობიერება და ეფექტიანი მოგვარების გზების დასახვა. კვლევა ასევე საინტერესო იქნება, ხანდაზმულ პირებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სქართველოში პროფესიულ წინსვლას, გერონტოლოგიისა და უფლებებზე დაფუძნებული მომსახურებების განვითრებას.

საკვანძო ცნებები: ჯანსაღი დაბერება, ხანდაზმულობა, გერონტოლოგია, მულტიდისციპლინური მიდგომა.

Abstract

The thesis discusses the conditions of elderly people, studying the service of aging healthily and determining the role of multidiscipline team in these services.

According to the research topic, there has been done a literature review of relevant written sources, scientific articles about healthy aging, issues related to aging, besides, local as well as international law framework has been reviewed. In order to deeply analyze the topic, both, qualitative and quantitative methods of research have been used. Within the framework of the qualitative research semi-structured interviews have been conducted. The sample of the interviews included the service providers and service recipients of NGO's day care center and state-owned 24-hour serviced centers.

The results of the research revealed the blemishes of the care homes under the control of the government, the needs of the old people and challenges that the government faces in the process of providing the service to them. The results of the research emphasized the importance of the aging services in the process of developing old people's psycho-social conditions.

According to the research results old people face the following problems: realization, social isolation, desperate attitude towards the future and health and financial problems. These problems are more severe in the 24 hour care homes under the jurisdiction of the state, where multidiscipline team does not work and standards based on the human rights are not taken into account.

The present study is interesting for old people and service givers, as well as for state institutions, to better understand the problems and gaps in it and to find effective and good solutions for the problem. The research will also be interesting for specialists who work with people with old age, that will promote the professional development of the field, Gerontology and will support the development of services based on rights in Georgia.

Key-words: Healthy aging, aging, gerontology, multidiscipline approach

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო პროგრამისა და ნაშრომის ხელმძღვანელს პროფესორ, შორენა საძაგლიშვილის გაწეული დამხარებისთვის, გაცემული რეკომენდაციებისთვის, მოტივაციის მოცემისა და მუდმივი მხარდაჭერისთვის, კვლევის პროცესში გვერდში დგომისთვის.

მადლობა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დირექტორს ქეთევან გიგინეიშვილს სამუშაო საათებში ჩემთვის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის შესაძლებლობისთვის, ემოციური მხარდაჭერისთის. მადლობა ასოციაციის თანამშრომლებს თბილი, მხარდამჭერი სამუშაო გარემოს შექმნისთვის.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო არასამთავრობო ორგანიზაციის ხანდაზმულთა დღის ცენტრის წარმომადგენელს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრებსა და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ ხანდაზმულთა სახლს კვლევაში მონაწილეობისთვის, ასევეე განსაკუთრებული მადლობა კვლევაში მონაწილე თითოეულ ხანდაზმულ პირს.